

572
1979

ISSN 0132-5965
0132-5965



1979 03 06 0 N7

செவ்வாய்

მავაკებელი

ავთანდილ ზურაბიანიძე

დაიძრა და
უფრო მეტად
დაუბერა ქარმა
და ბორბლებიც ახმაურდნენ:

— ჩქარა,

ჩქარა,

ჩქარა!..

ელმაჯალის

დიდი თვალი

ბნელში უკითლად ელავს...

ჩქარა,

ჩქარა,

ჩქარა,

ჩქარა!..

ენქარება გელას.

საით ჩქარობს?

სოფლისაკენ!

იქ ბებია ელის,

კიდევ?

ლურჯი კორდები და



კიდევ?
მუჯანუ ველი.
მდინარეში ბანაობა,
ქაფიანი ჩქერი...
კიდევ?
ტყეში სეირნობა,
ბებოს თაფლის კვერი...
კიდევ?
სოფლის განთადი —
აღუბლების ფერი,
გართობა და
თამაშობა
ბევრი,
ძალზე ბევრი...
რაკი
საქმე ასე არის,
მოთმინება კმარა,
ელმაჯალო,
დაუჩქარე,
ჩქარა,
ჩქარა,
ჩქარა!..



თინიკო ჩრდილოეთში მიდის

ვლადიმერ ასლავაზიშვილი

ნახატი თამაზ ხუციშვილისა

თინიკოს მამა მეზღვაურია. დიდ საოკეანო გემზე მსახურობს. ხან აფრიკაშია, ხან—ამერიკასა და ავსტრალიაში.

ამას წინათ შინ შევბუღებით ჩამოვიდა. თინიკოს საჩუქრები ჩამოუტანა. იმ საჩუქრებში პაწაწინა მაჯის კომპასიც ერია. შიგ ლურჯ-წითლად შეღებლი ისარი მოუსვენრად წრიალებდა.

თინიკოს კომპასი საათი ეგონა, ყურბე მიიღო, მოუსმინა, მაგრამ წიკწიკი რომ ვერ გაიგონა, მამას ჰკითხა:

— ეს რა სათამაშოა?

— სათამაშო კი არა, კომპასია!—თქვა მამამ,—

უამისოდ მოგზაური შორს ვერ წავა, ვერც გემი და თვითმფრინავი გაიგნებს გზას. შუა ზღვაში, საითაც გაიხედავ, სულ წყალია, ნაპირი არ ჩანს, ამ დროს კაპიტანი კომპასს დასცქერის, ლურჯად შეღებლი

ისრის წვერი ჩრდილოეთ მხარეს მიგანიშნებს,— მამამ ხელით უჩვენა თინიკოს, საით იყო ჩრდილოეთი მხარე,—წითლად შეღებლი—სამხრეთს. კომპასით აღმოსავლეთისა და დასავლეთის გაგნებაც შეიძლება. ჰოდა, მიჰყავს კაპიტანს გემი უშიშრად, თავისი გზით.

თინიკომ კომპასი მაჯაზე გაიკეთა და გარეთ გავარდა.

— საით გასწიე?—სიტყვა დაადევნა მამამ.

— ჩრდილოეთით, ბებიასთან!

— რას ამბობ, გოგო, ბებიას ჩრდილოეთში რა უნდა, ავერ, აქვე, მეზობელ სოფელში არ ცხოვრობს?—გაიკინა მამამ, მაგრამ უცებ შეჩერდა, გარემოს მზერა მოატარა და აღმოაჩინა, რომ ბებიას სოფელი, მართლაც, ჩრდილოეთ მხარეს მდებარეობდა, საითაც ახლა გარბოდა თინიკო, რათა მამის მოტანილი საჩუქარი მოხუცისათვის ეჩვენებინა.

ქ. მარტის ხახ. ნაძ.
სს. სს. სს. სს.
1950

ბიჭო პოპი!

შალვა შორჩიძე



ბლის და თუთის მწიფობა,
 ბიჭო გოგი, ბებო გელის.
 ვიცი, ძლიერ გენატრება
 ჩვენი წყაროც, ბაღიც, ველიც...
 ალუბალიც ისე დატკბა,
 რომ იხილავ, გაოცდები...
 ჩქარა, ჩქარა, დაამთავრე,
 ბიჭო გოგი, გამოცდები.
 ოღონდ, ბიჭო, თვალცქრიალა
 ჩამომგვარე აქ მანანაც.
 ის ჯერ კიდევ პატარაა
 და თუთის ქვეშ ვეტყვი ნანას.
 ვეტყვი, როგორ გამოვზარდე
 მისთვის კრელი ტუჭულები,

შენ კი ბაღში დაუკრიფე
 ბლის წითელი კუნწულები.
 მერე ერთად ითამაშეთ
 მოკუნტრუშე ბოჩოლებთან...
 ჩქარა, ჩქარა, მოღევა რომ
 არ მოგასწროთ ჩვენმა ბლებმა.
 ბაღებს იქით მოსამკელი
 მწიფე პურის ყანებია.
 ბაღებს აქეთ—
 ვენახი და
 ისევ მწიფე ბაღებია.
 და ისეთი ბაღებია,
 რომ იხილავ, გაოცდები,
 ჩქარა, ჩქარა, დაამთავრე,
 ბიჭო გოგი, გამოცდები!



ნახატები ნანა სულეშვილისა

გოგონა და წყარო

ბარბო თომაძე

ბებერი ცაცხვის ძირას ცივი და გემრიელი წყარო ამოწუნებულა. მთელი სოფელი დიდიან სალამომდე იმ წყაროდან ეზიდებოდა წყალს. იდგა—ღოჭების, თუნგების, კოკების, ჩაფების, კასრების მწკრივები. წყალი ზოგს ხელით მიჰქონდა, ზოგს—ურმით, ზოგს—სახედრით, ზოგს—ცხენით. წყაროზე დიდებს ბავშვებიც მიჰყვებოდნენ პატარა თუნგულებით. განსაკუთრებით ერთ გოგონას უხაროდა წყაროზე წასვლა.

— დედა, დედიკო, წამიყვანე წყაროზე, — ეხვეწებოდა დედას.

— დაიღუბი, წყარო სოფლის ბოლოსაა, — ეუბნებოდა დედა, მაგრამ გოგონა მაინც არ იშლიდა თავისას.

ერთხელ დედა ავად გახდა. სიცხიანს ძალიან მოსწყურდა, მაგრამ ოჯახში დასადგვი წყალიც კი აღარ აღმოჩნდა.

— დედიკო, წავად წყაროზე, ცივ წყალს მოგიტან, — შეეხვეწა გოგონა.

— არა, ახლა გვიანაა, წყარო შორს არის, დაგალამდეება, — გააფრთხილა დედა.

— სულ ვირბენ და მაღე მოვად, — ისევ თხოვა გოგონამ, მერე თავისი კონტად მოხატული თუნგულა აიღო და სულ სირბილით გასწია წყაროსაკენ. წყაროზეც ბევრი არ დაუხანებია, ხედავდა აავსო თუნგულა წყლით, მაგრამ უეცრად სანეღური ხელიდან გაუსხლტა და ქურჭელი აუბში ჩაუვარდა. ის აუბი საკმაოდ ღრმა და ფართო იყო. თუნგულას ხან ერთი მხრისკენ გააქანებდა, ხან—მეორისაკენ. გოგო ბევრს ეწვიადა, მაგრამ ვერც ხელით და ვერც ხის ტოტით ვერ მისწვდა თუნგულას. თანაც არც წყაროზე მომსგდედი გამოჩნდა ვინმე. გოგონამ წყაროს წინ დაიჩოქა და შეევედრა:

— წყარო, ჩემო საყვარელო წყარო, მომეცი ჩემი თუნგულა. უკვე ჩამოხნედა, დედას შეეშინებდა.

მაგრამ წყაროს ზედაპირს ნირიც არ შესცვლია, ისევ ისე ციმციმებდა და სარკვესავით პრიალებდა.

გოგონა მწარედ ტიროდა. იქვითინა, იქვითი-



ნახატი ვახტანგ გულისაფვილისა



ცუცქია ზღარბი ზოოპარკში

ნოდარ კაკელიძე

ნახატი ვახტანგ გულისაშვილისა

იმ დღიდან, რაც ცუცქია ზღარბი ზოოპარკში მიიყვანეს, საბარალოს, დარღმა დარია ხელი. ჰამა-სამას უკლო, გახდა, დაჩიავდა. ერთთავად ტყეში უპატრონოდ მიტოვებული შვილები აგონდებოდა და თვალთავან დაჰალუპით გადმოსდიოდა ცრემლი.

— ვაი, შენ, ჩემო თავო, — ჩიოდა ცუცქია, — რა შვ დღეში ჩავფარდი, კაცო!

ჩვენს ზღარბს თხუნელა თარიას გვერდით მიუჩინეს ბინა. იმ მიწისპირა ოთახში ნესტისა და შმორის აუტანელი სუნი იდგა, ცუცქიას დღეღამ ცხვირს აცემინებდა და სიცივისაგან ვერხვის ფოთოლივით თრთოდა, თუმცა მოვალეობა როდი ავიწყებოდა?

ადგებოდა დილაუთენია, ხელ-პირს დაბანდა, გაიზმორ-გამოიზმორებოდა, გამოსუნსულდებოდა, გახედავდა ცას, ქვეყანას და თავიხი ბინის

გასწვრივ, ბალახებში იწყებდა ბოლოთის ცემას. ასე იყო მუდამდღე, დილიდან დაღამებამდე, ვიდრე მაყურებელი მისი ცქერით არ დაიღლებოდა. უყურებდნენ დინჯად მოხეირნე ზღარბს და სიცილით იგუდებოდნენ.

— ნეტა რაღა აცინებთ ამ დალოცვილებს, — ჰკვირობდა ცუცქია, — რას ხედავენ ჩემში სასაცილოს?

— შენ, ეი, პანტიკლაპიავე! — მისძახოდნენ აქეთ-იქიდან, — ტყე არ გენატრება?

— შეხედეთ, შეხედეთ, როგორ იფხორება? — კისკისებდნენ მეორენი.

ცუცქიას ტყის გაგონებაზე ტანზე ეკალი ებურძღვლებოდა და თვალები ცრემლით ევსებოდა.

— დაესხენით ამ საცოდავს, რა სჭირს თქვენ დასაციანი! — უსაყვედურებდა ბავშვებს იქვე — შორიახლო მდგარი მიხო ბიჭი.

— აი, შენმა გამზრდელმა უნდა თქვას, შვილი გამიზრდიაო!—გაიფიქრებდა ცუცქია და მოსარჩლეს სიყვარულით შეავლბდა თვალს.

მიხო, ზოოპარკის დარაჯის, ძია სოსოს შვილიშვილი იყო და ცუცქიას ხშირი სტუმარი გახლდათ. გაიკრფებოდნენ თუ არა ზოოპარკიდან დამთავლიერებლები, მიხო დაიზვიანებოდა ხოლმე ხილ-ბოსტნეულით და ცუცქიასაკენ გაეშურებოდა...

ასე დამეგობრდნენ ცუცქია და მიხო... დღე არ გაილეოდა, რომ ერთმანეთი არ ენახათ და საუბარი არ გაებდათ...

ერთ საღამოს მიხო ჩვეულებრივად ეწვიოდა ცუცქიას და თან გემრიელი სასუსნავიც მიუტანა. ცუცქიას ეამა მეგობრის სტუმრობა, მაგრამ ულუფისათვის ზედაც არ შეუხედავს. მიცუცქულიყო ღობის ძირას და დაღვრემილი გასცქეროდა მოლურჯო, კამკამა ცარგვალს.

— რა დაგემართა ცუცქი, ავად ხომ არა ხარ?— ჰკითხა მიხომ.

— განა დარდი და ნაღველი ავადმყოფობაზე უარესი არ არის?

— რამ დაგადარდინა? იქნებ ის გწყინს, ბავშვები რომ გაბრაზებენ?

— მაგას რა ხანია შევეგუე!—ცუცქიამ თვალები დახარა და სევდიანად ამოიოხრა.

— გახაგებია, შვილებს დარდობ, არა?—მიუხვდა მიხო.

— მერედა, როგორ! იცი, რა ბიჭები მყვანან? ავ თვალს არ დაენახებოიან.

— წახვალ, რომ გაგიშვა, ჰა?—უცებ ჰკითხა ბიჭმა და გაუღიმა.

— ძალიან მიყვარხარ მიხო-ბიჭო, მაგრამ შვილები მენატრებიან. ერთი მათთვის თვალი დამაკრვინია და მერე თუნდაც სული გამძროშია!

— კარგი, ცუცქი,—დაჟაბულდა ბიჭი,—რახან გული აქ არ გიჩერდება, დღესვე ვეტყვი პაპას, გასალებს მომცემს, ამაღამ კარს გაგიღებ და გაგიშვებ.

— არა, არა, შენი ჭირიმე!—შეკრთა ცუცქია.

— რატომ? შენ გგონია, პაპა უარს იტყვის?

— მაგას არ ვამბობ, მართო მე რომ გავიდე აქედან, რა ბედენაა... იცი, აქ რამდენნი არიან ჩემსავით შვილებდანატრებულნი? ნუთუ არასოდეს გახენია ნადირთა მეფის გულსაკლავი ღრია-

ლი, ან თავისუფლებისმოყვარე ქობრუდას ამაზრუნენი ბღვილი, ან კიდევ პაწია ჩიტბატონების სევდიანი ჭიქიქი? ისინი ხომ შვილებს უხმობენ, შორს, სადღაც ტყეებში დარჩენილ შვილებს!

— ბავშვებმა რაღა ქნან?—იკითხა მიხომ,— ზოოპარკი რომ მთლად დაცარიელდეს, რითი გაერთობიან? რითი გამხიარულდებიან?

— თანა უბედურ ტყვეთა ცქერა ვინმეს უნდა ართობდეს?—ნაღვლიანად თქვა ცუცქიამ.

მიხო ჩაფიქრდა, წამით ზოოპარკს მიმოავლო თვალი და ზღარბს დაეთანხმა:

— შენ მართალი ხარ ცუცქი, ყველამ უნდა იცოდეს, რომ დატყვევებულ ნადირ-ფრინველთა ცქერა სრულებითაც არ არის გასართობი და თანაც სასაცილო, გასამხიარულებელი.

— მაშ, პაპას ყველაფერს გაუშხელ, რაც გთხარია?

— ძალიან კარგი პაპა მყავს ცუცქი, ნუ გეშინია, აი, ნახავ, ყველას თვითონ გაგიღებთ კარებს!

— ვაშა!— შესძახა ცუცქიამ,— გაუმარჯოს თავისუფლებას!

ის იყო მეგობრები ერთმანეთს დასცილდნენ, რომ ცოცხლად გადასერა და კოკისპირულმა წვიმამ ერთბაშად დაუშვა. ცუცქიამ ძლივს შეასწრო სამყოფელში. წყალი ჯერ პაწია ნაკადულებად მოედინებოდა, მერე და მერე გაიზარდა, გაძლიერდა და ზოოპარკს ნიაღვრად მოასკდა. იქაურობა დაიკბორა და გზა-ბილიკები ქვა-ლორლით ჩაიხერტა. ჩამობნელდა. ცა გრგვინავდა და შფოთავდა. ქვეყანას წალეკვით ეშუქებოდა.

ცუცქიას რომაშხი შემოვარდნილმა ღვარცოფმა ცუცქია გარეთ გამოიტაცა, ნაფოკივით აატეგებია.

— თარიავ, ბიჭო!—ყვროდა ცუცქია, მაგრამ სად იყო თარია, აღარც თარია იყო და აღარც მისი თავშესაფარი: ყველაფერი აღრენილ, გაცოფებულ ნიაღვარს მიჰქონდა,—ვაიმე, ბიჭო, რა დროს ვიღუპებით!

ცუცქიას მოულოდნელად რაღაც საგანი მძლავრად დაეცა, ხევისაკენ ისარივით ისროლა და უზარმაზარ ბეტონის მიღში შეაგდო. მერე აღარაფერი ახსოვს. გონდაკარგულს, მრუმე, ტალახისფერი ნიაღვარი ეღვის სისწრაფით ქვემოთ, თვალუწყვდენელ მინდვრებისაკენ მიაქანებდა.

პუპის ბიჭი

ოთარ ზალიძე

1


ჩია ბიჭი მიხო,
რადგან ცოტას ჭამდა,
ისე სუსტი იყო—
ძლივს ეკავა ჩანთა.
მას ზარავდა შიშით
ცივი ზამთრის ბუჭი,
სიფრიფანა ცხვირში
გასდიოდა შუჭი.
იღლებოდა მალე,
ვიზეც ამბავს ვყვები,
ჭკონდა გამჭვირვალე
შუშასავით ყბები.
და არც თვითმფრინავით,
არც მფრინავი თევზით,
ჭკროდა იგი ღამით
სიზმრის ფრთებით მთებში.
როგორც გათოშილი
მეზაფერი ნატრობს კოცონს,
ბიჭი ტანმორჩილი
შენატროდა კოსმოსს...
ცოდნით შინ და გარეთ
აოცებდა ყველას.

კოსმონავთა გვარებს
ჩამოთვლიდა ხელად.
მან იცოდა—გემი
წყალში როგორ ცურავს,
ღედამიწა ჩვენი
რის გარშემო ბრუნავს.
ამბავს ანდა ზღაპარს
რომ ყვებოდა ბიჭი,
შურდა ყველა ზარმაცს
მისი თხრობის ნიჭი.
ხუთიანებს მულამ
ღებულობდა ჩია,
მაგრამ ჯერ არ უთქვამს:
„ღედა, პური მშია“.
სხვაც გააჩნდა ნაკლი,
უმადობის გარდა,—
ეზოს ყველა ძაღლი
მან რძით გამოზარდა.
— დავნაყრილი უკვე,—
მშობლებს ატყუებდა,
ბიჭი თავისუბნელ
მყეფრებს აპურებდა.
ერთხელ თურმე მტკვარში
ლამის დამხრჩვალყო,
ძაღლს უხსნია მაშინ
ჩვენი ჩია მიხო.
თურმე წყალში ყურშას

კულზე სტაცა ხელი,
ამის შემდეგ უყვარს
ბავშვს თავისი მხსნელი.
როცა სანოვავს
მოიტანდა ღედა,
მიხო ქუჩის ძაღლებს
მთელ პურს გადუღებდა.
სულ ეზოში ჭროდა
კაფანდარა ბავშვი,
გარეთ გამოჭკონდა,
რაც ებადათ სახლში.
უკანასკნელ ლუქმას
მათ უყოფდა იგი,
დაყვებოდა უკან
ოთხეხათა რიგი.
ბიჭის ზრუნვით, კერძით
ძალამიცემული
ყველგან ახლდა გვერდზე
ძაღლთა ოცეული.

2

ერთხელ მიხოს უცხო,
სხვაუბნელმა ბიჭმა
ჩხუბი წამოუწყო,
კვი გამოგლიჯა.
ღაიყფეს მყისვე
მეგობრებმა მისმა,





ჩხუბისთავი ისევ ჩვენმა ჩიამ იხსნა. და ვინც გაიარა მწარე ვაკეეთილი,— გაქრა პაიპარა შარვალდაფლეთილი. ვარეშემო დასცხეს მეზობლებმა ტაში, თავს ამაყად ასწევს კაფანდარა ბავშვი. უკვე დროა, იხმო დედამისმა ეახშმად, ეძახოდა მიხოს მთელი ეზო ვაჟკაცს. — უყვარს უბატრონო, უდედმამო ძაღლებს, მიხოს უბატრონოდ ხელს ვერავინ ახლებს. მიდის ახლა ყინჩად, კვეცი წამოიღო. სხვაუბნელმა ბიჭმა ვერ დაჩაგრა მიხო. ერთმა მაწანწალა ლეკვმა დააქევა, აღარ დააცალა ჩიამ კვეის ლეკვა. — რას სჩადიხა, გლახავ!—

ძაღლს მიეკრა ბიჭი. ძლივს გაუღო ხახა, გამოგლიჯა კინკი, — რისთვის გაისარჯე და თავს რატომ იჭრი? შარვლის ბინძურ ნაგლეჯს პირში როგორ იჭრი?!— ხტოდა კუდის ქნევით ლეკვი მაწანწალა... და მას მიხომ კვეის ლეკვა დაასწავლა. ამდროს დაიჩხავლებს ვიღაც მთელი ძალით: — ეყვარებათ ძაღლებს ეგ ტყავი და ძვალი!— მოპყვა იგი ქოთქოთს, ჩიას ეცა ხელად. იმ ბავშვს თიხის გოგო ერქვა მეტსახელად. — ბიჭო, ჩემი ძაღლი ძაღლად აღარ მაგდებს, დაივიწყა სახლი, უკან სულ შენ დაგდევს!— თიხის გოგო ყვირის, ემუქრება მიხოს, თითქოს ჩვენი გმირი დამნაშავე იყოს.

დამორცხვა ბაღლმა. გაიხსენა წამში: ერთხელ მისმა ძაღლმა როგორ იხსნა წყალში. გოგოს დააღალუპით ღვარი დასდის ცრემლის და თან სხაბასხუპით ჩიტყვებს აყრის, სწყევლის. ჩუმად ეტყვის ჩია: — მწყევლე, არაუშავს... შენ რამ შეგაშინა? ხელს არ ვახლებ ყურშას. კირში მშველელს ხშირად დაივიწყებს ზოგი... ვინც გადამარჩინა, მიყვარს შენი დოგი. ყურშას არას ვერჩი, სული მისით შემრჩა,— თქვა და გოგოს ხელში წოხნი შეაჩეჩა. — შენ ეგ შეგასწავლის, როგორც ჩვენი სკოლა, როგორ უნდა ძაღლის შენახვა და მოვლა.— შეიმშრალავს გოგო ჩამოცრემლილ ლაწვეებს, დოგს მოუხმობს ბოლოს და შინისკენ გასწევს.



აპაკი ართილაყვა

ბოლრია

პიესა მ სურათად

მონაწილენი:

ფილიმონი— მოხუცი.
ჯიმშერი— ფილიმონის შვილიშვილი.
გივი, ბოლრია, მჩხავანა.

სურათი პირველი

ტყეში ხავსით დაფარული მინდორი. შემოდის ფილიმონი. მხარზე სანადირო თოფი ჰკილია. ისმის ლეკვის წკმუტუნი და ყეფა.

ფილიმონი— (აქეთ-იქით იყურება) სადღაც ლეკვი... (ბუჩქებთან მივა) ნამდვილად სადღაც აქ არის.

ბოლრია— ჰამ, ჰამ, ჰამ!

ფილიმონი— (ბუჩქებს ათვალიერებს) აჰა, წყვიან ორმოში ჩავარდნილა! (მივა, დაიხრება და ლეკვს ორმოდან ამოიყვანს. ლეკვი სველია, სიცივისაგან კანკალებს და წკმუტუნებს). ნუ გეშინია, ახლავე ცეცხლს გავაჩაღებ და გათბები. (ძირს დასვამს, ფიჩხს მოაგროვებს და ცეცხლს გააჩაღებს, კუნძზე ჩამოჯდება და ბოლრიას წინ დაისვამს). გათბი ბოლრია, გათბი.

გივი— (შემოდის, ხელში შურღული უჭირავს, წელზე მონადირესავით მკვდარი ჩიტო აქვს ჩამოკიდებული. ბოლრიას დაინახავს). ბოლრია, ჩემო ბოლრია, რამდენი გეძებე, შენ კი აქ ყოფილხარ.

ბოლრია— (გივის ვრთს გადახედავს, შერე ფილიმონს ფეხზე აეტმასნება და ბრაზმორული აუფფდება)— ჰამ, ჰამ!

გივი— ეგ ლეკვი ჩემია და რატომ არ მეკარება? ფილიმონი— ვიცი რომ შენია, მაგრამ ასეთი კარგი ლეკვი ტყეში არ უნდა მიგეტოვებინა.

გივი— ფრთამოტეხილ ჩიტს გამოვუღექვი და მთელი დღე დავფევი.

ფილიმონი— ჩიტის გულისთვის მიატოვე ლეკვი? მე რომ არ მენახა, წყვიან ორმოში დაიხრჩობოდა.

გივი— მე რა ვიცოდი ორმოში თუ ჩავარდებოდა. ახლა წავიყვან და წუთითაც აღარ მოვშორდები. (ცდილობს ხელში აიყვანოს, მაგრამ ბოლრია შეუტყვეს).

ფილიმონი— ტყვიანი ლეკვი ჩანს, თავმოყვარე, რაკი ტყეში მარტო მარტო მიატოვე, შენთან ყოფნა აღარ სურს.

გივი— როგორმე უნდა შევირიგო. (უცებ დაწვდება და ხელში აიტაცებს, მაგრამ ბოლრია დაუსხლტდება და ისევ ფილიმონთან მივა).

ფილიმონი— აი, ხომ ხედავ, ცხოველს ენა არა აქვს, თორემ სიკეთის ფასი კარგად იცის.

სურათი მორბე

ეზო. მზინი დღეა. ფილიმონი სახლის წინ ზის და ბოლრიას ეაღერებს.

ფილიმონი—რა კარგი დეკვი ხარ, ბოლრია, იყავი ამ ეზოში, მზრუნველობას არ მოგაკლებ. (შემოფრინდება ყვავი-მჩხავანა და ეზოსთან ახლოს ხეზე ჩამოაჯდება).

მჩხავანა—ყვანა!.. (ეზოში იცქირება).

ფილიმონი—უჰ, შენი... რალა მაინცდამაინც ჩემს სახლის წინ ჩამოაჯდები ხოლმე და ჩხავი!

მჩხავანა—(აჯავრებს) ყვანა, ყვანა! (შემოდის ჯიმშერი. ბოლრია ყვავს უყუფს).

ჯიმშერი—ჰო, რა ომახიანად ყუფს ბოლრია!

ფილიმონი—როცა გაიბრძება, ძალდი ვერ აჯობებს.

მჩხავანა—ყვანა, ყვანა!

ჯიმშერი—ეგ ყვანჩადა აღარ გვშორდება.

ფილიმონი—რა მოვუხერხო აღარ ვიცი, თოფს გამოვიტან, მაგრამ, როგორც კი შემნიშნავს, მაშინვე გაფრინდება.

მჩხავანა—ყვანა, ყვანა!

ბოლრია—ჰამ, ჰამ! (ლობესთან მიიბრუნს, ყვავი გაფრინდება).

სურათი მხსამე

მოქმედება ხდება ერთი წლის შემდეგ. ბოლრია უკვე გაზრდილა, დიდი ძალდი გამხდარა. ხმა დაბობება. შემოდის ფილიმონი.

ფილიმონი—ბოლრია სად წავიდა? ბოლრია, ბოლრია! (შემოაბის ბოლრია) მოდი, ბოლრია, მოდი.

ბოლრია—ჰამ! ჰამ!

ფილიმონი—(აკვირდება) რამ დაგასისხრიანა? ძაღლებმა ხომ არ დაგკბინეს? (შემოდის ჯიმშერი).

ჯიმშერი—ძია ფილიმონ, ბოლრიას ტურა დაუბრჩია.

ფილიმონი—ყოჩაღ, ბოლრია! (თავზე ხელს გადაუსვამს).

ჯიმშერი—საქათმის გვერდით გდია, წამოდი, ნახე. (გადიან, ბოლრია მარტო რჩება ისმის ყვავის ჩხავილი. ბოლრია ეზოს გადაღმა გადავა, ხის ძირას დაწეება და თავს მოიმკვდარუნებს. გამოჩნდება მჩხა-

ვანაც. კისერწაგრძელებული დაბლი იყურება, მერე მიწაზე უძრავად დაგლებულ ძაღლს შეასკუბდება და კორტინის. ბოლრია უეტრად წამოიწევს და კბილებს ჩაავლებს).

მჩხავანა—ყვანა, ყვანა! (შემოდის ფილიმონი და ჯიმშერი, ბოლრიას თათებში მომწყვდეული მჩხავანას რომ დაინახვენ, გაოცდებიან).

ფილიმონი—ამას რას ხედეგ?

მჩხავანა—ყვანა, ყვანა!

ჯიმშერი—ანდა სადღა წავეჩხვად?

ფილიმონი—წყეული მჩხავანა!

ბოლრია—ჰამ! ჰამ!

ფ ა რ დ ა



ნახატები თამაზ ხუსიფილისა

ეშმაკი ვრუჭუნა

ლილა სხვილია

— ბრჭყალებბბსნი ფისო ვარ.
მე ფისო ვარ ნატარბ,
წაბლი, თსილი, კაკალი,
მსოლოდ მე მბქეს, თავს აბ...
თავუნებო, გამოდით,
გაჭმევთ თსილს და კაკაღსა!
აწრუწუნა თაკუნა,



წრუწუნა და კაბასა:
— თავგი წინ დავისეუბდე,
მენც გი გინდა კატასა...
მთჯობს ვთჯდე მშიერი,
მენს ბრჭყალებში კანკაღსა...
მავრამ თუ ჩავეკინა,
ავისრულებ ნატვრასა,
თითო-თითოდ ავაცლი
თსილს, წაბლსა და კაკაღსა...
კულზე ეშვანს შევბამ
და უღვამსაც გავპარსავუ!..

ნიაზი

მზია ჩხებიანი

რა ხანია
სძინავს ნიანგს,
ძირს ჭვასავით
ჩუმად გლია.
— ჰე, ნიანგო,
ძილისგულა,
გაიღვიძე,
არ გრცხვენია?
ზმას არა გეცემს,
არც გვიყურებს,
არც გვიცინის,
არც გვიწერება,
ტკბილად სძინავს,—
მშობლიური
აფრიკა თუ ესიზმრება.



რა ახინებთ ბაჭიებს?

ნოთა სოღაშნლი

ბაჭეები ბადეებით
პეპლებს სდევენენ მინდორ-ველად,
ანკესით კი მელაკულა
თევზს იჭერდა ნელა-ნელა...
ის ანკესი მოხვდა ლოქოს,
გააღვიძა ძილისგულა,
დაითრია ანკესი და
მელა წყალში ჩააყულა...
ახითხითდნენ ბაჭეები,
ბანს აძღვედა დათვის ბელი:
— მელაკულავ, მელაკულავ,
თუ ბიჭი ხარ, გაუძელი!..

როგორ იპოვა კამეჩა მებოზარი

ქან თლივი

როდესაც კამეჩი ლეიანისა და ხშირი ღერწმის რტოებით გადაბინდულ ჭაობის შუაგულში დაბინავდა, იქაური მცხოვრებნი შეწუხდნენ: სხვა რომ არ იყოს, ამხელა ცხოველი მყუდროებას დაგვირღვევსო.

კამეჩი კი მაღალი ბაღახების ჩრდილში, უწყინარი და განმარტოებული, კოლოებისაგან ოდნავ

გალიზიანებული, საათობით მშვიდად იცოხნებოდა.

საბრადოს წარმოდგენაც არ ჰქონდა, რა აურზაური გამოიწვია ჭაობნარში მისმა გამოჩენამ. ბოლოს იქაურებმა თავკაცები მოუგზავნეს კამეჩს, წინ ყანა მიუძღოდათ. იგი გაბედულად წარუდგა ახადმოსულს:



ნახტი ვახტანგ გულისაფვილისა

— კამეჩო, ძალიან გვაწუხებ, გახირულხარ ლეიანში და შენი ფშვინვით მყურდობას გვირღვევ. ჭაობის ბინადართ შემოგოთვადეს, შენი გზა მონახეო.

კამეჩი დანალღვლიანდა:

— სად წავიდე?

— ტყეში წადი, იქ ხმაურს არავინ დაგიშლის.

— ტყეში ვერ ვიცხვრებ, გრძელი რქები მაქვს და ხეთა ტოტებში გავიხდართები,— უპასუხა კამეჩმა.

— მაშინ, ბარში ჩადი.

— მერე და, იქ სად დავიმალო, ადამიანები მომკლავენ.

— აბა, უდაბნოში მიბრძანდი, იქ არასოდეს ნადირობენ ადამიანები.

— უდაბნოში ბადახი სად ვნახო, შიმშილით მოგვკვდე? ჩემო მეგობარო, შემიბრალეთ, დამტოვეთ თქვენთან, არაფერს წაგიხდენთ, არ ვიხმაურებ. აბა, მითხარით, როგორ ვიცხვრეო უმეგობროდ და უმეზობლოდ?

გაბრაზებულმა ყანჩამ და მისმა მეგობრებმა გადაწყვიტეს, კამეჩთან არ ემეზობლად.

ამის გამო ძლიერ დალონდა კამეჩი, გახდა, ჭაობის კოლოებიც უფრო გაშშმაგდნენ.

ერთ დღეს პატარა, შავნისკარტა ჩიტმა გადაუქრლდა ლეიანს.

— შენ რაღა გინდა?— შემზუფდა კამეჩმა.

ჩიტმა მუდართით უთხრა:

— იცი როგორ ვეჯავრები ჭაობის ჩიტებს! თეგბიჭამია ჩიტებს საერთოდ არ უყვართ კოლოჭამიები. თუ მიმეგობრებ, ბუზებს მოგაშორებ, ასე რომ გაწვადებენ, ჩემთვის მოგიკუნტები, რათა სიმშვიდე არ დაგირღვიო. არაფერი შემიძლია, ძალიან სუსტი ვარ... შემიბრალე, ნუ გამაგდებ!

— ნუ გეშინია, ჩიტუნა, არ გაგაგდებ.— გაუხარდა კამეჩს,— იცხვრე ჩემთან. მეც მეგობრობის მეტი არა მინდა რა შენგან.

ასე იპოვა კამეჩმა ჭაობნარში ერთგული მეგობარი, პატარა, შავი ჩიტუნია, რომელიც ყოველთვის მის გვერდით არის და რის გამოც ამ ჩიტს ბუზიყდაპია შეარქვეს.

უახუპი და ოოოპანა

ძიშვარე ისაპაძე


— მოდი, გივი, ჯოხებისგან

გუპკეთოთ თოფი, დანა,
სწვა ბეჭეებსაც და ჯუძახსოთ,
ვითაძაშოთ ოოოპანა!

— ბიჭო, რა დროს ომი ლრის,
ნეტავ რა გუპკეს ვასეოფი,
ფესურთს რა სჯობს, ოთიჯა:
სხორტიცა და ვასნოთობიც.

— ანც მე მინდა ოოოპანა,—
დაეთანსმა ალეს გივი,—
ჩვენ სოი მეუდაძ მჟვიღობა გესურს,
დეღეებიოთ,
მაშეგიოთ.—

დატრიალდნენ, მთინიშნეს
ოთი გოლი თეთრი ქვებით...
აბა, ბურთიც! და ზატარებს
გამოესნათ თითქოს ფრთები.



ფრანგულიდან თარგმნა გულიკო ქოჩლაძე



ქ ს ვ უ ჯ ც ა რ

ჭეღე ჯეჯე

მზია ძაძაძია

- მზევე ჩადისარ?
- ჰო, ჩავდივარ.
- რად ჩადისარ? —

ნადვლობს კახს.

— აბა, მე რომ არ ჩავიდე,

შენ ვანსკვლავებს როგორ ნახავ?


თხეღე სუსი

თხამ სარკეში
თხა რომ ნახა,
სხვა ეგონა,
დევჯახს.

სპილო

უზანგი სასლთხუთიფილი

სპილო მთასავით ვეება —
თავისთვის ჩუქად დამდგარა,
ცხვირი კულივით გრძელი აქვს,
კული-ცხვირით პატარა.



საჩუქარი

ალეკსი ხუთიფილი

ვის რა საჩუქარი

მოუტანე ნატა?

— მტვერსასარუტი ბებოს,
სათაფური კატას.


თაგუნების თათბირი

ეთარ ჯიშყარიანი

კარადაში თაგვებს
ჰქონდათ ცხარე ღაფა,
თქვეს:—როდემდე ვიყოთ
ასე საცოდავად?
გუშინ სკივრში თხილი
შეინახა ლიამ,
ჩვენ კი კატის შიშით
ველარ გაგვივლია.
ჰოდა, რადგან ფისოს,
ვერ ვერვით, ვერ ვმტრობთ,
მოდით, კარადამდე
გავიყვანოთ მეტრო...

16209

თვსაქუები



შეავსეთ ცარიელი უჯრედები ფრინველთა სახელწოდებით ისე, რომ ფერად სვეტში მიიღოთ სიტყვა „გამოცანა“.

შეადგინა ქ. თბილისის მე-18 საშ. სკოლის მოსწავლემ ქეთევან ძამანაშვილმა.

შეადგინა ქ. თბილისის 154-ე სკოლის მოსწავლემ მანანა რთველიაშვილმა.

ქ. ჯან. ნინო სან. სამ.
სსს. სახელმწიფო
ახსენებელი
ბიბლიოთეკა

202/101



როგორ ხე იყო ყველაზე ღირსი ხენს?

ნახატი მიხეილ სოლოვიოვისა

მთავარი რედაქტორი მუხრან მახატავაძე

სარედაქციო კოლეგია: ანდრე ასპლანდოვი (პრეზიდენტი), ვლადიმერ ასპლანდოვი, კუპურა გომიზაშვილი, ლილია ბრატაძე, მამუკა მამუკაშვილი, ჯივოჯი მუხრანი, გიორგი არიშვილი (სამხ. რედაქტორი), ივანე ჯავახიშვილი, რობერტ ლაბინაშვილი, გივი მანუაშვილი

საქ. აღმ. ც-ის და ვ. ი. ლენინის სახელობის პოეტთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს წევრალი. ულანი ნახატი ელზარდ ამბრამიძის გამომცემის ანტ. ველი. ტერედაქტორი მელი წიბათიალი

საქ. კ ც-ის გამომცემლობა
Издательство ЦК КП Грузии

მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის—თბილისი, ლენინის 14, ტელ.: მთ. რედაქტორის—93-41-30, 93-98-15, პრეზიდენტის—93-10-32, 93-98-17; სამხ. რედაქტორის—83-98-18; განყოფ.—93-98-13; სამღებულისი—93-98-16

გაზეთი ასაწეობად 19/IV-79 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 1/VI-79 წ., კაბლინის ზომი 60x90, ფხვ. ნაბ. ფურც. 25, ტირაჟი 158.000, შეტ. № 1223 „დილა“ № 7. на грузинском языке. ფასი 20 კაპ